

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ  
საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის

ოქმი № 6

ქ. ლანჩხუთი

19.12. 2019 წელი

16.00 საათი

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძე**;

**კომისიის წევრები:** ბესიკ კუპრაძე, კარლო კვიციანიშვილი, გიორგი გვარჯალაძე, კახა თედორაძე, ზაალ სანაძე, ამირან ქანთარია, გოდერძი ქურიძე.

**სხდომას ესწრებოდა:** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელი **თამარ ფირცხალაიშვილი**; საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **მაია კუპატაძე**, საკრებულოს მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ხათუნა ვადაჭკორია**.

**სხდომის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:**

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

**/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/**

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

**/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/**

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

**/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/**

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

**/მომხსენებელი: ემზარ თევდორაძე/**

5. სხვადასხვა

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა

**კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:**

**მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი.**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ**. მან განაცხადა, რომ კომისიის სხდომაზე გამოთქმული ბიუჯეტთან დაკავშირებული შენიშვნები გათვალისწინებული იქნა შეძლებისდაგვარად.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, ემზარ თევდორაძემ.

2. დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

**მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ, **ემზარ თევდორაძემ**. მან კომისიის წევრებს დეტალურად გააცნო წარმოდგენილი გეგმის პროექტი.

კომისიის წევრების მიერ რაიმე სახის შენიშვნები არ გამოთქმულა.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

**მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე ისაუბრა სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელმა **თამარ ფირცხალაიშვილმა**. მან განაცხადა, რომ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია. წარმოადგინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის სოციალური პროგრამების 17 პროექტი. ეს პროგრამებია:

1. მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 90 000 ლარით, 105 ბენეფიციარი.

2. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 36 000 ლარით, პროგრამის მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების პროგრამა გათვლილია 23 ოჯახზე.

3. მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 67000 ლარით, პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 68 ოჯახი.

4. ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 56000 ლარით.

5. მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 7600 ლარით.

6. ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა; პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 13000 ლარით.

7. ბიკარბონატული ჰემოდიალიზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა. პროგრამა გათვლილია 24 ბენეფიციარზე.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15300 ლარით. პროგრამა გათვლილია 55 ოჯახზე.

9. სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 92000 ლარით. პროგრამის მიზანია მოქალაქეთა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარება. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 300 ბენეფიციარი.

10. ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 19500 ლარით.

11. მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 50000 ლარით. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 60 ბენეფიციარი.

12. უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 2500 ლარით. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პროგრამა გათვლილია 10 ბენეფიციარზე.

13. ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა მუშუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 37 200 ლარით. პროგრამით ისარგებლებენ კლუბის წევრი ქალბატონები სავარაუდოდ 36 ბენეფიციარი.

14. ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 1500 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს გადაცილებული ხანდაზმულების ერთჯერადი დახმარება 500 ლარის ოდენობით. პროგრამა გათვლილია 3 ბენეფიციარზე.

15. მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 15000 ლარით. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 50 ბენეფიციარი.

16. შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 9800 ლარით. პროგრამის მიზანია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0- დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსება ურეკში. პროგრამა გათვლილია 14 ბენეფიციარზე.

17. ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 25000 ლარით.

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

## მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ **ემზარ თევდორაძემ**. ეს ცვლილებებია:

1) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“

2) დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად“

3) დადგენილებით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი“

4) დადგენილებით დამტკიცებული დანართის პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ეს წესი არეგულირებს 2020 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული - განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან - განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს.“

**კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე

2. განკარგულების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

## მომხრე 8; წინააღმდეგი არცერთი

5. სხვადასხვა

კომისიის წევრმა ამირან ტანთარიაშ და კომისიის წევრებმა სოლიდარობა გამოუცხადეს ექიმ ვაჟა გაფრინდაშვილს და იმედოვნებენ, რომ მისი ტყვეობა მალე დასრულდება.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და  
ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე



გიორგი ტყეშელაშვილი

# ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №6 სხდომის  
დასკვნა

ქ. ლანჩხუთი

19.12.2019 წ.

16.00 საათი

2019 წლის 19 დეკემბერს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

**დღის წესრიგის პირველი საკითხი 1.** „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი 1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის სოციალურ-კულტურული ღონისძიებების - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ღონისძიებების, სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის 2 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს 2019 წლის 23 დეკემბრის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა  
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე

ემზარ თევდორაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა,  
განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი  
19.12. 2019 წელი  
16.00 საათი

სახელი, გვარი	დაწყების დრო	ხელმოწერა
1. თაგუჯდომარე – ეშვარ თევდორაძე	15 <sup>50</sup>	
2. კარლო კვიციანიშვილი	15 <sup>51</sup>	
3. გოდერძი ქურძიძე	15 <sup>55</sup>	
4. კახა თევდორაძე	15 <sup>55</sup>	
5. რეზო კვაჭაძე	—	sh ესწეპოდა
6. ზაალ სანაძე	15 <sup>58</sup>	
7. ხესივ კუპრაძე	15 <sup>57</sup>	
8. ამირან ქანთარია	15 <sup>55</sup>	
9. გიორგი გვარჯალაძე	15.58	
10. რეზო კვერენწილაძე	—	sh ესწეპოდა
11. ელისო ჭიჭინაძე	—	sh ესწეპოდა
12. ამირან გიგინეიშვილი	—	sh ესწეპოდა
13. ლულა ჩახვაძე	—	sh ესწეპოდა
14. ცისანა ჟრუჟაძე	—	sh ესწეპოდა